



პრესრელიზი

Google-ის შედეგებს შორის „დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდის“ კიდევ ერთი პროექტი მოხვდა.

Google Arts & Culture



From the collection of
Georgian State Museum of Theatre, Music,
Film and Choreography - Art Palace

"გუგლის" კულტურულმა ინსტიტუტმა საკუთარ სივრცეში ხელოვნების სასახლის გალერეაში დაცული ტილო "მაქმანიანი ბიჭუნა" განათავსა. ნახატი, რომელიც 1872 წლით არის დათარიღებული, ქვეყნიდან გატანას ხელოვნების სასახლის ძალისხმევით შედეგად გადაურჩა. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო შედეგებს შორის მოხვედრილი ნახატის შექმნა, ხელოვნების სასახლესთან დაწყებული მორიგი პროექტის „ეროვნული სალაროს“ ფარგლებში მოხდა.

დღეიდან ნახატის ხილვა მუზეუმის გარდა გუგლის კულტურული ინსტიტუტის გვერდზეც შესაძლებელია შესაბამისი ბმულით <https://artsandculture.google.com/.../boy-with.../LgFwtRt8sbHxgw>

ქვეყარჩოზე "მაქმანიანი ბიჭუნა" ტრეტიაკოვის გალერეის საექსპერტო ბიუროს ბეჭედია (ნომრით 347856-21) რაც დასტურია, რომ შემოწმება წარმატებით გაიარა და ერთ-ერთ საუკეთესო ევროპულ ნამუშევრად აღიარეს. მაგრამ ვერ დაიტოვეს, რადგან მისი შექმნა და დაბრუნება



პრესრელიზი

სასახლის დირექტორის გიორგი კალანდიასა და „დავით ბეჟუაშვილის განათლების“ ფონდის ძალისხმევით გახდა შესაძლებელი.

შეგახსენებთ, რომ ერთწლიანი ხელშეკრულების ფარგლებში ხელოვნების სასახლის, ხელოვნებათმცოდნეებისა და ექსპერტების შერჩევისა და შესწავლის შემდეგ „დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდმა“ ხელოვნების სხვადასხვა ნიმუში შეიძინა სასახლის ფონდისთვის. აღნიშნული კოლექციის გამოფენა, სიმბოლურად საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში შედგა. მუზეუმის სტუმრებმა ძვირფასი რარირიტეტული ნივთები სასახლეში, გამოფენა „საჩუქარი საქართველოს ფარგლებში „იხილეს.

კომპანია „ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

„დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდი,“ საგანმანათლებლო საქველმოქმედო, არამომგებიანი ორგანიზაციაა, რომელიც 2015 წელს დაარსდა. ფონდის დამფუძნებლები თვლიან, რომ „განათლება განვითარებული, თანამედროვე, დემოკრატიული ქვეყნის მთავარი ღირებულებაა.

